

პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტი 041061

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტი წარმოადგენს ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დარგის პროფესიულ კვალიფიკაციას. პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტის საქმიანობა მოიცავს: ახალი სუნამოების, შამპუნების, კბილის პასტების, ლოსიონების, კრემების და სხვა პარფიუმერიული პროდუქციის ტექნოლოგიური პროცესის უწყვეტ მონიტორინგს, მუშაობის პროცესში ხარვეზების გამოვლენას, მათ აღმოფხვრას, პროდუქტის ადამიანებისათვის უვნებლობის და უსაფრთხო მუშაობის უზრუნველყოფას თანამედროვე მაღალი მოთხოვნების პირობებში.

II. დასაქმების სფერო

პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ კომპანიაში, რომელიც აწარმოებს პარფიუმერიულ-კოსმეტიკურ ნაწარმს, ეთერზეთებს, სურნელოვან, სინთეზურ ნივთიერებებს, სამკურნალო პრეპარატებს, ასევე შეუძლია შექმნას მცირე და საშუალო ფირმები და აწარმოოს ბიზნესი.

III. დამატებითი მოთხოვნები

- პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის პროგრამის ათვისება

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტის პროფესიული განათლება არის ორ საფეხურიანი (IV და V) . თითოეული საფეხურისთვის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტის მეოთხე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. აქედან,

კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს.

აქედან, კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

V. პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტის კვალიფიკაციათა აღმწერი

პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძველზე დამყარებული ცოდნა. აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინფორმატიკა; • მეწარმეობის საფუძვლები; • პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ტექნოლოგიისათვის აუცილებელი დისციპლინები - პარფიუმერიულ-კოსმეტიკური წარმოების მოწყობილობა - ჰომოგენიზატორები, მასალების ამრევი მანქანები, თხევადი და ნახევართხევადი საშუალებების ტრანსპორტირებისათვის საჭირო მოწყობილობა; • პარფიუმერიისა და კოსმეტიკის საფუძვლები - პარფიუმერიისა და კოსმეტიკის ისტორია, კოსმეტიკური ნაწარმის კლასიფიკაცია, ასორტიმენტის შერჩევა და დანიშნულების მიხედვით მისი დაყოფა; • პარფიუმერიისა და კოსმეტიკის ნაწარმის ნედლეული - სპირტები, წყალი, საღებრები, ბიოლოგიურად და ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, ნავთობპროდუქტები, მცენარეული და ცხოველური ცხიმები, მცენარეული ზეთები, აბრაზიული ნივთიერებები, მინერალური წყლები, თიხები, სამკურნალო ტალახები და სხვ.; • პარფიუმერიულ-კოსმეტიკური წარმოების ტექნოლოგია -ნედლეულისა და მასალის მექანიკური დამუშავება, კომპონენტების გაცრა, აწონვა, დოზირება, კომპონენტების შერევა, გამოშვებული პროდუქტის დაფასოება, ტარირება და ტრანსპორტირება); • აცნობიერებს პრობლემების (ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა - ტემპერატურა, წნევა, ხარვეზები - კომპონენტების დოზირება, კონსისტენცია, ფერი, სუნის საბოლოო პროდუქტის მარკირებაში) გადაჭრის
-------------------------------------	---	---

		ზოგად შესაძლებლობებს .
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საჭირო ნედლეულისა და მასალების (სპირტები, წყალი, საღებრები, ბიოლოგიურად და ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, ნავთობპროდუქტები, მცენარეული და ცხოველური ცხიმები, მცენარეული ზეთები, აბრაზიული ნივთიერებები, მინერალური წყლები, თიხები, სამკურნალო ტალახები და სხვ) მექანიკური დამუშავება, კომპონენტების გაცრა, აწონვა, დოზირება, კომპონენტების შერევა, გამოშვებული პროდუქტის დაფასოება, ტარირება და ტრანსპორტირება. • შეუძლია ტექნოლოგიური ციკლის ფაზების შესაბამისი მოწყობილობების (ჰომოგენიზატორები, მასალების ამრევი მანქანები, თხევადი და ნახევართხევადი საშუალებები) შერჩევა და შესრულების პროცესში კოსმეტიკური ნაწარმის წარმოების პროცესების ტექნოლოგიური სქემების გამოყენება. • შეუძლია შეიმუშავოს ოპერატიული მოქმედება წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად (ტემპერატურული რეჟიმის - გაცხელება-გაცივების გამოსწორება) და შეაფასოს მიღებული შედეგები - გამოშვებული ნაწარმის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია წარმოების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების (ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა, კომპონენტების არასწორი დოზირება, ჩატვირთვა, არევა, უხარისხო შესაფუთი ტარა და მიღებული პროდუქტის წუნი) გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება (ტემპერატურისა და წნევის რეგულირება, კომპონენტების ზუსტი დოზირება, დროული ჩატვირთვა და არევა, ხარისხიანი შესაფუთი ტარის

		<p>შერჩევა და უმაღლესი ხარისხის პროდუქტის მიღება), ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა (პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ნაწარმის მისაღებად ალტერნატიული კომპონენტების შერჩევა, რეცეპტურის შემუშავება, დოზირება) და მიღებული შედეგების ანალიზი (მიღებული ნაწარმის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების შეფასება სტანდარტებთან შესაბამისობაში).</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხო ენაზე მიღებულ პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება</p>	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის დროს დანადგარების გაუმართაობისა და ტექნოლოგიური პროცესის დარღვევის მიზეზის ზეპირი და წერიტი ახსნა; • შეუძლია საინფორმაციო წყაროებისა და ვირტუალური ქსელის გამოყენებით ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების მოძებნა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (საპრეზენტაციო პროგრამები) დამოუკიდებლად ათვისება; • შეუძლია უცხო ენაზე ტექნოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება უცხო ენაზე, თარგმნა და გაზიარება კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან.
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებლად დაისახოს მიზნები პოფესიული განვითარების კუთხით და დაგეგმოს შემდგომი სწავლა; • შეაფასოს კარიერული ზრდის პერსპექტივები და მიიღოს შესაბამისად განსაზღვროს პროფესიული განვითარების მიმართულებები.
<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებსა და</p>	<ul style="list-style-type: none"> • კრიტიკულად აფასებს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო საკუთარ ცოდნას;

	<p>ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, გუნდში მუშაობის ჩვევები; • იცავს ეთიკისა და მორალის პრინციპებს; • დანადგარების საგანგებო რეჟიმის მუშაობის ან ავარიულ სიტუაციებში მოქმედებს სწრაფად და ოპერატიულად.
--	--	---

პარფიუმერიული და კოსმეტიკური წარმოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინფორმატიკა; • პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ტექნოლოგიის სფეროსთან დაკავშირებული გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხები; • პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ტექნოლოგიისათვის აუცილებელი დისციპლინები: <ul style="list-style-type: none"> - კოსმეტოლოგია - კოსმეცევტიკის ძირითადი პრობლემები; - სამედიცინო კოსმეტოლოგიის არსი; - კოსმეტიკის სახით გამოშვებული სამკურნალო, პროფილაქტიკური, ჰიგიენური და დეკორატიული საშუალებები, მათი კლასიფიკაცია დანიშნულებისა და გამოყენების მიხედვით; - კანის ფიზიოლოგიური თავისებურებები; - კოსმეტიკურ პრეპარატებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ნივთიერებები; - დერმატოლოგიასა და კოსმეტოლოგიაში გამოყენებული ფიტოპრეპარატები, ბიოგენური სტიმულატორები, ვიტამინები, კონსერვანტები, ანტიოქსიდანტები და ა.შ.; - ბიოლოგიურად და ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები -
-------------------------------------	---	--

		<p>ეფექტური გამოყენებისათვის დადგენილი ოპტიმალური პირობები და კომპოზიციების ის ოპტიმალური შედგენილობა, რომლის დროსაც ვლინდება მათი მაქსიმალური გამრეცხუნარიანობა, კერძოდ: მრეცხავი, მადეზინფიცირებელი, ანტისეპტიკური გამხსნელების მოქმედება, მარეგულირებელი და ქაფწარმოქმნელი თვისებები;</p> <ul style="list-style-type: none"> • წარმოების პროცესები და აღჭურვილობა <ul style="list-style-type: none"> - პარფიუმერიულ-კოსმეტიკური წარმოებაში არსებული მანქანა-დანადგარების აღჭურვილობა; - პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ნაწარმის მიმღებ მანქანა-დანადგარებთან ოპერირება; • პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ნაწარმის ტექნოლოგია <ul style="list-style-type: none"> - სამუშაოს დაგეგმვა; - კომპონენტების დოზირება; - ტემპერატურისა და წნევის რეჟიმის რეგულირება - პარფიუმერიულ-კოსმეტიკური წარმოების ტექნოლოგიური სტადიის განხილვა, ამ სტადიებზე მიღებული ნახევარფაბრიკატების ხარისხის შეფასება.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პარფიუმერიულ-კოსმეტიკური პროდუქტის წარმოების რეგლამენტის შერჩევა <ul style="list-style-type: none"> - კომპონენტების დოზირება, დადგენილი ოპტიმალური პირობები და კომპოზიციების ის ოპტიმალური შედგენილობის დადგენა, ტემპერატურისა და წნევის რეჟიმის რეგულირება, ტექნოლოგიური სტადიის განხილვა, ამ სტადიებზე მიღებული ნახევარფაბრიკატების ხარისხის შეფასება; • პარფიუმერიულ-კოსმეტიკური წარმოებაში არსებულ მანქანა-

		<p>დანადგარების შერჩევა- ოპერირება;</p> <ul style="list-style-type: none"> წარმოებული პროდუქციის სტანდარტულ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა და ხარისხის შეფასება; ტექნოლოგიურ სქემაში სუსტი ადგილებისა და ტექნიკური ხარვეზების გამოსასწორებლად სათანადო ზომების მიღება.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა; მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით. ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ტემპერატურისა და წნევის რეჟიმის დარღვევის, პროდუქტის მისაღებად საჭირო კომპონენტების არასწორი დოზირების, დანადგარის გაუმართაობის და ტექნოლოგიური პროცესში შექმნილი სხვა სახის პრობლემების დროულად ამოცნობა; წამოქმნილი პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ინფორმაციის გამოყენება - ტექნოლოგიური რეჟიმის ინსტრუქტაჟის გამოყენებით ტემპერატურისა და წნევის დარეგულირება, რეცეპტურის გამოყენებით კომპონენტების სწორი დოზირება და ა.შ.; ანალიზი კოლორიმეტრიული, ფოტოელექტროკოლორიმეტრიული, აირქრომატოგრაფიული, კომპლექსონომეტრიული მეთოდების გამოყენებით; პროდუქციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანამიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და</p>	<ul style="list-style-type: none"> შეუძლია ფარმაცევტიული და კოსმეტიკური წარმოების თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიური პროცესებისა და ნაწარმის შესახებ იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანამიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის; მსჯელობისას შეუძლია დაეყრდნოს სხვადასხვა წყაროებს, ხარისხობრივ და

	საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	<p>რაოდენობრივ ინფორმაციას;</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია პრეზენტაციების, ანგარიშების მომზადება და წარდგენა როგორც სახელმწიფო, ასევე უცხოურ ენებზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შრომითი ბაზრის მოთხოვნებისა და პირადი ინტერესების გათვალისწინებით შეუძლია შემდგომი კარიერის დაგეგმვა, სწავლის მიმართულებების განსაზღვრა და შესაბამისი არჩევანის გაკეთება .
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს .	<ul style="list-style-type: none"> • პასუხისმგებლობით ეკიდება წარმოებული პროდუქციის ხარისხს; • უფრთხილდება საწარმოს იმიჯს და აფასებს სხვების დამოკიდებულებას საქმისადმი; • უზიარებს კოლეგებსა პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.